



პროგრამის აღწერილობა

პროგრამის დასახელება (ქართულად და ინგლისურად)	მასწავლებელთა განათლება Teacher Education
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	მასწავლებელთა განათლების მაგისტრი / Master of Teachers Education
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	<p>პროგრამის მოცულობა - 120 ECTS კრედიტი, 4 სემესტრი:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამის საერთო სავალდებულო კურსები - 60 კრედიტი /პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე სემესტრი/; ➤ სავალდებულო/არჩევითი კურსები - 20/20 კრედიტი/მესამე სემესტრი/; ➤ არჩევითი კურსები - 15 კრედიტი /მესამე სემესტრი/; ➤ სამაგისტრო ნაშრომი -25 კრედიტი /მეოთხე სემესტრი/. <p>პროგრამა ამზადებს საგნის სწავლების მეთოდის სპეციალისტს. პროგრამაში წარმოდგენილია 4 მოდული - ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ინგლისურისა და გერმანული ენების. ასევე, საკუთარი საჭიროებისა და ინტერესების მიხედვით, სტუდენტს 13 არჩევითი დისციპლინიდან შეუძლია აირჩიოს 5 სასწავლო დისციპლინა მესამე სემესტრში. არჩევითი დისციპლინები წარმოდგენილია 5-დისციპლინიანი ბლოკების სახით.</p>
სწავლების ენა	საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება ხორციელდება ქართულ ენაზე
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	იზაბელა პეტრიაშვილი , თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	<ul style="list-style-type: none"> ➤ ნებისმიერი დარგის ბაკალავრი; ➤ საერთო სამაგისტრო გამოცდა - A ტიპის ტესტი ; ➤ წერითი გამოცდა შესაბამის საგანში; ➤ ინგლისური/გერმანული/ფრანგული ენის B1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერტიფიკატით.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<p>პროგრამის მიზანი კონცეპტუალურად ეფუძნება უნივერსიტეტის მისიასა და ხედვას, კერძოდ, დარგის სწავლების მეთოდის სპეციალისტის მომზადებას, რომელსაც ექნება ცოდნა და უნარ-ჩვევები როგორც ფუნდამენტური, ისე გამოყენებითი მეცნიერებების მიმართულებით, გაცნობიერებული ექნება საკუთარი როლი ქვეყნის ტრადიციული ღირებულებების დაცვისა და ინოვაციური განვითარების თვალსაზრისით.</p> <p>ამის მიზანია საგნის სწავლების დიდაქტიკის სპეციალისტის მომზადება, ასევე უნდა გააჩნდეს ისეთი უნარები, როგორცაა ლიდერობა, ინიციატიურობა, ედებიტობა, სასწავლო პროგრამისა და გეგმის განვითარების დამოუკიდებელი მოსწავლეთა სწავლისადმი მოტივირება და სხვა. ასეთი კადრის მომზადება ოვს სპეციალურ სასწავლო პროგრამას, რომელშიც ასახული იქნება თანამედროვე ტენდენციები მასწავლებლისა და დარგის მეთოდის სპეციალისტის მიმართ და უნდა შეესაბამებოდეს ექნება მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცესთან. ამ უნარების აღიარებას ემსახურება წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა.</p> <p>პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება ზოგადპედაგოგიკური და სწავლება-</p>



	<p>სწავლის პროცესთან დაკავშირებული მეთოდოლოგიური დისციპლინების სიღრმისეული თეორიული ცოდნა და დაუფლებული იქნება დარგისათვის შესაბამის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. კერძოდ, სტუდენტს აქვს პედაგოგიურ/ფსიქოლოგიურ დისციპლინების, განათლებაში კვლევის მეთოდების, შესაბამისი დარგის სწავლების მეთოდების სიღრმისეული ცოდნა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები.</p>
<p>სწავლის შედეგები</p>	
<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს ჩამოუყალიბდება სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა შემდეგ საკითხებზე:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური დისციპლინები; (პროფესიული სტანდარტი); ➤ კვლევის მეთოდები განათლებაში; ➤ სასწავლო პროცესში მოზარდის უფლებებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხები; ➤ სასწავლო დისციპლინების სწავლების მეთოდიკა; ➤ ქვეყნის განათლების სისტემის საკანონმდებლო ბაზა; ➤ უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროება; სასწავლო დისციპლინა (საგნობრივი სტანდარტი). ➤ ინტერკულტურული და ინკლუზიური განათლების პროცესები.
<p>უნარები</p>	<p>სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში მიზანმიმართულად გამოყენება, კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სასწავლო საგნობრივი პროგრამის ანალიზი და დაგეგმვა; ➤ საგნის სწავლების პრობლემების განსაზღვრა და დამოუკიდებლად გადაწყვეტა; ➤ საგნის სწავლების მეთოდოლოგიური საფუძვლის და შესაბამისი ტექნოლოგიის შერჩევა; ➤ სწავლება/სწავლის პროცესის მრავალფეროვანი მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენება; ➤ შეფასების სისტემის მეთოდების მორგება კონკრეტულ სასწავლო სიტუაციასთან; ➤ სასწავლო პროცესის მიზანმიმართული დაგეგმვა და მართვა; ➤ სასწავლო თემატიკის შერჩევა აღმზრდელობითი მიზნებიდან გამომდინარე; ➤ კლასგარეშე მუშაობის მიზნობრივად წარმართვა; სასწავლო-სააღმზრდელი პროცესში ინკლუზიის სწორად განხორციელება;



	<ul style="list-style-type: none"> ➤ განათლების სფეროში მეცნიერული კვლევის დაგეგმვა და განხორციელება; ➤ სხვადასხვა კონტექსტში განათლების პრობლემების თანამშრომლობით გადაწყვეტა; ➤ სწავლა/სწავლების პროცესის ორგანიზაციის ფორმების, პრინციპებისა და მეთოდების განსაზღვრა და გამოყენება კონკრეტული საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით; ➤ ინტერკულტურული და ინკლუზიური განათლების ორგანიზება;
<p>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</p>	<p>სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია :</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ პრობლემის დამოუკიდებლად იდენტიფიცირების, დასმისა და გადაწყვეტის უნარი; ➤ სწავლის პროცესი დამოუკიდებლად წარმართვის, სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი; ➤ კრიტიკული აზროვნებისა და თვითკრიტიკის უნარი; ➤ პროფესიულ საქმიანობის პროცესში რეფლექსიის უნარი; ➤ პროფესიულ საქმიანობის პროცესში ეთიკური ნორმების დაცვის უნარი;
<p>სწავლების მეთოდები</p>	<p>ზეპირსიტყვიერი მეთოდები - <i>მონოლოგი, დიალოგი, დისკუსია</i>; წიგნზე მუშაობის მეთოდები - <i>დამოუკიდებელი და ახსნითი კითხვა</i>; პრაქტიკული მუშაობა - <i>სამუშაო ჯგუფი, პროფესიული პრაქტიკა</i>; ანალიზის და სინთეზის, ინდუქციური და დედუქციური მეთოდები; შემთხვევის შესწავლა; როლური და სიტუაციური თამაში; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; გონებრივი იერიში;</p>
<p>შეფასების წესი</p>	<p>(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.</p> <p>ორი სახის უარყოფითი შეფასება: (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.</p> <p>სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება</p>



	<p>საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.</p>
<p>დასაქმების სფეროები</p>	<ul style="list-style-type: none"> ➤ საგანმანათლებლო რესურს-ცენტრი; ➤ გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრი; ➤ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრი; ➤ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის 7-12 კლასების მასწავლებელი სახელმწიფო რეგულაციების დაცვით; ➤ პედაგოგთა გადამზადების ცენტრები; ➤ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ადმინისტრაციული რგოლი; ➤ განათლების საკითხებით დაკავებული არასამთავრობო სექტორი.
<p>სწავლის საფასური ქართველი და უცხოელი სტუდენტებისათვის</p>	<p>სახელმწიფო დაფინანსება, / ერთ სტუდენტზე 2250 ლარის გათვლით/</p>
<p>პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი</p>	<p>პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 24 პედაგოგი, რომელთაგან აკადემიური პერსონალია 11(2 პროფესორი, 6 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ პროფესორი, 1 ემერიტუს პროფესორი), ხოლო 13 მოწვეული მასწავლებელი.</p> <p>პროგრამა განხორციელდება ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების ფაკულტეტზე, რომელიც განთავსებულია თსუ-ს მე-3 კორპუსში, ჭავჭავაძის გამზ.# 11. აღსანიშნავია, რომ კორპუსი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით კაპიტალურად გარემონტდა 2016 წელს. განახლების შედეგად ფაკულტეტის სარგებლობაში მყოფი შენობა და მიმდებარე ტერიტორია სრულად აკმაყოფილებს სწავლებისა და კვლევის წარმართვისთვის საჭირო მოთხოვნებს, ფლობს აღნიშნული პროგრამის წარმატებით რეალიზებისათვის აუცილებელ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, როგორცაა, სასწავლო და კვლევითი ფართი, ტექნიკური აღჭურვილობა და პროგრამული უზრუნველყოფა.</p> <p>პროგრამის მიზნებს ემსახურება თსუ-ს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ფაკულტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ბაზები, რესურს-ცენტრები, აუდიტორიები და სხვა. უზრუნველყოფილია ინტერნეტთან წვდომა უწყვეტ რეჟიმში, მათ შორის, საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ რესურსებთან. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს სთავაზობს შემდეგ ელექტრონულ რესურსებს: Jstor, Ebsco, Erich, Scopus, Thomson.</p>
<p>დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)</p>	<p>სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე სტუდენტმა ენის ცოდნა უნდა გააუმჯობესოს B 2 დონემდე</p>